

ოჯახის ექიმთან დაბალი მიმართვიანობა საქართველოში

სამედიცინო მომსახურების ეფექტურობის შეფასების ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მიმართვების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე. იგი მიზნად ისახავს გაანალიზოს თუ რამდენად ხშირად მიმართავს მოსახლეობა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს.

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მიმართვების დაბალი რაოდენობა მეტყველებს საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის ნაკლებ განვითარებაზე.

გამონკვევები:

პაციენტების მიერ ოჯახის ექიმთან მიმართვის დაბალი პრევენცია ექიმ სპეციალისტებთან შედარებით

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 30% ოჯახის ექიმის გვერდის ავლით, პირდაპირ ექიმ-სპეციალისტს მიმართავს. გამომწვევ მიზეზებს შორის არის ნდობის დაბალი ხარისხი და მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე ოჯახის ექიმისა და პირველადი ჯანდაცვის ფუნქციების შესახებ. შედეგად, მაღალია პაციენტების მხრიდან სამედიცინო მომსახურების მისაღებად ჯიბიდან გადახდის წილი.

პაციენტების მიერ პრევენციისათვის ოჯახის ექიმთან მიმართვის ნაკლები მოტივაცია

პაციენტებმა ხშირად არ იციან რომ დაავადებების პრევენცია მნიშვნელოვანია და ოჯახის ექიმის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად გატარებაა. ამას ხელს უწყობს ექიმების მხრიდან პრევენციაზე ნაკლები ფოკუსირება. შედეგად, იზრდება დაავადებების გვიანი სტადიებისა და მძიმე გართულებების სიხშირე.

კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში ოჯახის ექიმები პაციენტთა 40%-ს ექიმ-სპეციალისტებთან ამისამართებენ. აღნიშნული შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სამედიცინო მომსახურებით მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში სარგებლობს და არა პრევენციისთვის. იზრდება დაავადებების გვიან ეტაპზე გამოვლენის რისკი, რაც ზრდის ჯანდაცვაზე განუღებ დანახარჯებს, ეს კი პირველადი ჯანდაცვის არსის საპირისპიროა.

ოჯახის ექიმის, როგორც ჯანდაცვის სისტემის მეკარიბჭის როლის არარსებობა

ჯანდაცვის სისტემაში, რომელიც ორიენტირებულია პირველადი ჯანდაცვაზე, ძლიერდება ოჯახის ექიმის მეკარიბჭეობის როლი. ასეთ სისტემაში პაციენტი ცდილობს უპირველესად მიმართოს ოჯახის ექიმს და საჭიროების შემთხვევაში მასთან კონსულტაციის შემდეგ ჩაიტაროს ექიმ-სპეციალისტის სპეციალიზირებულ მომსახურება

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია მეკარიბჭეობის მოქნილი, ნებაყოფლობითი მოდელის განვითარება, რადგან იგი უკეთ შეესაბამება პაციენტების და ექიმების საჭიროებებს და ნეგატიურად არ ზემოქმედებს ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობებზე. გარდა ამისა, ნებაყოფლობითი არჩევანი კიდევ უფრო ზრდის ოჯახის ექიმის პასუხისმგებლობას;
2. ხელი შეეწყოს დაავადებებთან ადრეულ ეტაპზე გამოვლენის, ანუ პრევენციაზე ორიენტირებული მექანიზმების განვითარებას.

წყარო:

- ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“, 2021წ, „პირველადი ჯანდაცვა საქართველოში, სისტემის ანალიზი და რეკომენდაციები რეალური ცვლილებებისთვის“.

<http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2021/03/Pirveladi-Jandacva.pdf>

